სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ თამბაქოს მოხმარების წესი

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171^1-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და თამბაქოს კონტროლის პოლიტიკისა და კანონის აღსრულების გზამკვლევით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესაბამისად.
2. საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი კრიტერიუმები, პირობები და წესები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თამბაქოს ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტად აღიარებას, არამწეველთა თამბაქოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარებას, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისა და მოხმარების დაწყების პრევენციის ხელშეწყობას, თამბაქოს მავნე ზემოქმედების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებას და თამბაქოს ნაწარმის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობას, თამბაქოს მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნილებისა და ამ ნაწარმის ხელმისაწვდომობის შემცირებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და არამწეველობის, როგორც ცხოვრების ნორმის აღიარებას.
3. წინამდებარე წესის შესაბამისად თამბაქოს მოწევა აკრძალულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შენობა-ნაგებობასა და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.
4. ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი ზემოხსენებული სამართალდარღვევა გამოიწვევს დაწესებულების დაჯარიმებას და ორგანიზაცია ვალდებულია, ნებისმიერი პირის მიერ თამბაქოს მოწევის ან მოწევის მცდელობის შემთხვევაში, არ დაუშვას დადგენილი წესის დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირის მიერ თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა გამოიწვევს დაწესებულების დაჯარიმებას.
5. პროცედურები, რომლებიც დაწესებულების მიერ უნდა გატარდეს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც ეწევიან, მათ შორის, ფლობენ ანთებულ/გახურებულ თამბაქოს ნაწარმს, ანუ ელექტრონულ სიგარეტს ან ჩილიმს კანონით აკრძალულ ადგილას, კოლეჯისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან:

   ა) აცნობონ მწეველს, რომ იმყოფებიან მოწევისათვის აკრძალულ ადგილას და ჩადიან სამართალდარღვევას;

   ბ) თავაზიანად მიუთითონ მწეველს შეწყვიტოს თამბაქოს მოწევა და შესთავაზონ მისი ჩაქრობის უსაფრთხო მეთოდი;

   გ) განუმარტონ მწეველს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს და შესაძლოა, შესაბამისი ზომები გატარდეს დაწესებულების მიმართ, რაც გულისხმობს კანონდამრღვევი დაწესებულების დაჯარიმებას 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში - 1000 (ათასი) ლარით.
6. იმ შემთხვევაში თუკი ფიზიკური პირი კვლავ გააგრძელებს თამბაქოს მოწევას, უარი უნდა ეთქვას მომსახურებაზე და მოეთხოვოს შენობის ან მისი ტერიტორიის დატოვება.
7. თუ ფიზიკური პირი განაცხადებს უარს დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს, მის მიმართ უნდა გატარდეს კანონით დაწესებული პროცედურები.
8. ყველა მსგავსი ინციდენტი და გატარებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე : 2140314, 2140315, 570503001.
9. მწეველი პირის მხრიდან დაუმორჩილებლობისა და ძალადობის შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე - (112).